



#9, ოქტომბერი, 2008

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული
დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია
სოციალურ სფეროზე
ორიენტირებული საზოგადოებრივი
ორგანიზაციებისთვის იურიდიული
მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org


ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ
გამოცემას ამზადებს
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს ამ სფეროში
მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს,
ღონისძიებებს.




„დაინახე ჩემში ადამიანი“

„ცხოვრება აზრს კარგავს...“, „მენატრება ადამიანები,
რომლებიც მიყვარს...“, „აქ ყოფნა ერთგვარი სასჯელიც არის,
რით დავიმსახურე არ ვიცი...“ ამ სიტყვებს იმ
დოკუმენტური ფილმის გმირები ამბობენ, რომელიც ასახავს
ფსიქიკურად დაავადებულ პირთა მდგომარეობას
საქართველოში.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

„დაინახე ჩემში ადამიანი“

„დაინახე ჩემში ადამიანი“ – ასე ჰქვია ფილმს. ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო ფედერაცია ყოველწლიურად 10 ოქტომბერს აღნიშნავს ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო დღეს. მისი მიზანია ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა. სწორედ ამ მიზნით „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში (გიფ) - თბილისის“ (GIP-Tbilisi) ინიციატივით, პროექტ დებატების პლატფორმის (P4D) ფარგლებში შედგა შეხვედრა, სადაც ნაჩვენები იყო ფილმი „დაინახე ჩემში ადამიანი“. ფილმი მოამზადა სტუდია „მონიტორმა“ პროექტ „სამოქალაქო საზოგადოება საჯარო პოლიტიკის რეფორმის“ (CSPPRP) ფარგლებში. ფილმის ჩვენების შემდეგ შედგება დისკუსია - საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო საზოგადოებისა და სფეროს წარმომადგენლებმა. ფილმის გმირების ნაწილი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სხვადასხვა დროს მოხვდნენ. არიან ისეთები, რომლებიც საავადმყოფოს ფანჯრებიდან დანახულ სამყაროს 10, 12, 16 წლის წინათ დაემშვიდობნენ. „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ თავის ანალიტიკურ ანგარიშში, სახალხო დამცველის ანგარიშზე დაყრდნობით წერს, რომ „ფსიქიკური აშლილობის მქონე



პირები საავადმყოფოებში წლობით იმყოფებიან. მათ შორის ისეთი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებიც, რომელთაც მკურნალობა აღარ ესაჭიროებათ...“
... ფილმის გმირები ყვებიან, რომ მათ სახლი, სამსახური, ზოგს მოსაუბრე რომ ჰყავდეს საავადმყოფოს დატოვებდნენ, სამწუხაროდ, მათ ეს არჩევანი არ აქვთ... თუმცა არიან ისეთები, რომლებმაც შეძლეს... ფილმში წარმოდგენილი იყო, ასე ვთქვათ მოდელი თუ როგორი უნდა იყოს ზრუნვის სისტემა – საავადმყოფო, სარეაბილიტაციო ცენტრი, მობილური დახმარების ჯგუფი, დაცული საცხოვრებელი, თავშესაფარი. როგორც უკვე ავლიშნეთ ფილმის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელიც სფეროს განვითარებას ეხებოდა. დისკუსიის დროს გამოიკვეთა, რომ სფეროს დაფინანსების გაზრდის, ზრუნვის მოდელების შექმნის და ხელისუფლებისთვის შეთავაზების გარდა, ერთ-ერთი მთავარი საკითხი საზოგადოების დამოკიდებულებაა ამ ადამიანების მიმართ...

ამონარიდები ფონდ „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისის“ ანალიტიკური ანგარიშიდან

... მსოფლიოში დაახლოებით 450 მილიონ ადამიანს აღენიშნება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები... საქართველოში 2007 წელს ოფიციალურ აღრიცხვაზე იყო 106 921 ფსიქიკური აშლილობის მქონე პირი...

... ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები საავადმყოფოებში წლობით იმყოფებიან. მათ შორის ისეთი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებიც, რომელთაც მკურნალობა აღარ ესაჭიროებათ...“

...ფსიქიატრიული დახმარების დაფინანსება ერთსულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 2007 წელს დაახლოებით 1.7 ლარს (დაახლოებით 1 აშშ დოლარი) შეადგენდა..“

საკონკურსო განაცხადი

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ერთობლივ კონკურსს სოციალური მუშაკების შესარჩევად.

ინფორმაცია იხილეთ გაზეთი „24 საათი“, 27 ოქტომბერი, 2008 წელი ან <http://www.civilin.org/welfare>

ქველმოქმედება



„ბრითიშ პეტროლიუმის“ კომუნიკაციისა და საგარეო საქმეთა ოფიცერმა მეთიუ ტელიორმა მეგობრებთან ერთად ფონდ „პირველი ნაბიჯის“ დასახმრებლად ზაფხულში საქველმოქმედო აქცია წამოიწყო. ფონდის დასახმრებლად ყაზბეგის მთა დალაშქრა, რათა აქციის საშუალებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეეგროვებინა თანხა, ამ მიზნით სპეციალური ვებ-გვერდიც შეიქმნა. ქველმოქმედები ყაზბეგ ზეც ავიდნენ და თანხაც შეგროვდა, რომელიც კოჯორში ახლადგახსნილ ბავშვთა სახლის წყლით მომარაგების სისტემას მოხმარდება. ამ სახლში დღეს

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ცხოვრობენ, რომლებიც კასპის ინსტიტუციიდან არიან გადმოყვანილები. მათ ცხოვრების ხარისხის გაუჯობესების უნიკალური შესაძლებლობა მიეცათ. ქველმოქმედები ოქტომბრის ბოლოს თავად ესტუმრნენ კოჯორის ბავშვთა სახლსაც. ფონდი „პირველი ნაბიჯი“ 1998 წლიდან აქტიურად მუშაობს, სხვადასხვა სერვისებს სთავაზობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს და ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

შეხვედრა

„ადამიანის უფლებები და ფსიქიკური ჯანმრთელობა“

10 ოქტომბერს, ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს, სახალხო დამცველმა და მასთან არსებულმა მონიტორინგის საბჭომ საზოგადოებას წარუდგინეს მოხსენება – „ადამიანის უფლებები და ფსიქიკური ჯანმრთელობა“. სახალხო დამცველთან არსებული საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო 2006 წელს შეიქმნა, რომელში შედიან ფსიქიატრიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.

საკონკურსო განაცხადი

1. საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2008 წლის ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ორეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს სახელმწიფო გასაცემლებისა და სოციალური მომსახურების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისათვის საკონსულტაციო ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“,
13 ოქტომბერი, 2008 წელი
ან
<http://www.civilin.org/welfare>

2. სსიპ „საქართველო ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ევროკავშირის გრანტით დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით სასუნთქი სისტემის დაავადებების გაიდლაინების სპროტოკოლების გამოყენების საკითხებზე საოჯახო მედიცინის პრაქტიკაში ტრენინგის კურსების ორგანიზებისა და ჩატარების უზრუნველყოფისათვის და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“,
16 ოქტომბერი, 2008 წელი
ან
<http://www.civilin.org/welfare>

პასუხი კრიზისს



ავვისტოს მოვლენების შემდეგ ათასობით ადამიანის ცხოვრება ერთ წუთში შეიცვალა... კრიზისულ სიტუაციებში ფსიქიკური დაძვლებლობა მატულობს. საქართველოს ფსიქოტრავმის საზოგადოება პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად ჩაერთო ავვისტოს მოვლენების შემდეგ ფსიქოსოციალური დახმარების საქმეში. მათი ინფორმაციით, დევნილთა უდიდესი ნაწილი ფსიქიკური აშლილობის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება... კრიზისულ სიტუაციებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება გუნდურ, შეთანხმებულ მუშაობას – ამიტომაც ფსიქოტრავმის საზოგადოება სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობდა და ტექნიკურ დახმარებას უზრუნველყოფდა – რესურსების მობილიზება, მოხალისეების ტრენინგებისათვის საჭირო სასწავლო მოდულების შემუშავება და ასე შემდეგ. ამჟამად პარტნიორებთან ერთად აგრძელებენ მუშაობას გორში და თბილისში. ორგანიზაცია ერთი წლის წინათ – 2007 წელს დაფუძნდა, როგორც ევროპის ტრავმული სტრესის კვლევის საზოგადოების აფილირებული წევრი. საზოგადოების მიზანია

ხელი შეუწყოს მძიმე სტრესის, ტრავმის შესახებ ცოდნის გაღრმავებასა და გავრცელებას, აგრეთვე ტრავმის მასშტაბებისა და შედეგების გამოსწორებისთვის სტრატეგიის შემუშავებას და ფსიქოტრავმატოლოგიის დარგის განვითარებას საქართველოში. ამ

მიზნით 17–18 ოქტომბერს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გაიმართა კონფერენცია თემაზე: „საპასუხო ღონისძიებები კრიზისის სიტუაციაში – ინტეგრაციული მიდგომა ფსიქოტრავმის მიმართ“. ფსიქოტრავმის საზოგადოებასთან ერთად კონფერენციის ორგანიზატორი იყო ტრავმული სტრესის კვლევის ევროპის საზოგადოება. მასში მონაწილეობას იღებდნენ პარლამენტის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სფეროს წარმომადგენლები. კონფერენციაზე ისაუბრეს როგორც ავვისტოს მოვლენების დროს საქართველოში გაწეულ მუშაობაზე, ასევე საერთაშორისო გამოცდილებაზე. კონფერენციაზე შემუშავდა რეკომენდაციები. კერძოდ, დაზარალებულთათვის ფსიქოსოციალური დახმარების მდგრადი სამსახურის ასაწყობად ლოკალური, ქართული ექსპერტიზის მაქსიმალური გამოყენება, სპეციალური სერვისების ამუშავება, ეფექტური, მტკიცებულებაზე დაფუძნებული ფსიქოსოციალური დახმარების, მკურნალობის და რეაბილიტაციის მეთოდების დანერგვა, ტრავმირებულ თემთან მომუშავე პერსონალისთვის ზრუნვის სამსახურის შექმნა.

თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ